საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

2 03 2022 წ. № 32 ქ. თბილისი

კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებისა და საქართველოს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ” ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების” მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტითა და „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების/პროექტების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს თანდართული „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი და პირობები”.
2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ -საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №372 ბრძანება „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ”.
3.ბრძანება ძალაშია სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ
სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი

გაგა ჩხეიძე

კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი და პირობები

მუხლი 1.

1. კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესი განსაზღვრავს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ეროვნული კინოცენტრი) ბიუჯეტიდან იმ ღონისძიებების/პროექტების (შემდგომ - პროექტი) დაფინანსების წესსა და პირობებს, რომელიც გათვალისწინებულია ,,სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულებით" და ,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. ეროვნული კინოცენტრი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია, დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- კინომემკვიდრეობის დაცვა (არსებული კინოფონდის დაცვა, კვლევები, კონფერენციები, გამოფენები, რეტროსპექტივები და სხვ.);
- კინოდისტრიბუცია (ყოველწლიური და ერთჯერადი კინოფესტივალები, კინოჩვენებები, კინოკვირეულები, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, რეგიონული კინოკლუბების მხარდაჭერა, კინოთეატრებისა და კინოსივრცეების ამოქმედების კონცეფციების შექმნა, სადისტრიბუციო კომპანიების დაარსების წახალისება და სხვ.);
- კინოგანათლება და კვალიფიკაციის ამაღლება (ტრენინგები, მასტერ-კლასები, ვორქშოპები, ლექციები, სემინარები და სხვ.);
- კინოლიტერატურის გამოცემა ბეჭდვის გარეშე (მონოგრაფიები, ალბომები, კვლევები, სახელმძღვანელოები, ცნობარები, მემუარები).

3. პროექტები უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 2.

1.საპროექტო განაცხადი პროექტის დაფინანსების თაობაზე (შემდგომ-განაცხადი) ეროვნულ კინოცენტრს წარედგინება პროექტის ავტორის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

2. განაცხადი პროექტის დაფინანსების თაობაზე შესაძლებელია შემოტანილ იქნას ეროვნულ კინოცენტრში წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, პროექტის დაწყებამდე სულ მცირე 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით (დანართი 1).

3. სხვა ფორმით წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება.

4. განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ქართულენოვანი თარგმანი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით.

მუხლი 3.

1. პროექტის დაფინანსების შესახებ განაცხადს განიხილავს ეროვნულ კინოცენტრში შექმნილი პროექტების განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია). კომისია შედგება 8 (რვა) წევრისგან. ის კომპლექტდება კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისგან, რომლებსაც უკავიათ შემდეგი თანამდებობა:
ა) დირექტორი;
ბ) დირექტორის მოადგილე;
გ) ფინანსური მენეჯერი:
დ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსი;
ე) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის კინოგანათლების მიმართულების მენეჯერი;
ვ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის კინოდისტრიბუციის მიმართულების უმცროსი სპეციალისტი;
ზ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის კინომემკვიდრეობის მენეჯერი.
თ) კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის ბეჭდური და ინტერნეტ-გამოცემების მენეჯერი.

2. კომისიის თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი (კომისიის წევრი), ხოლოს მისი არყოფნის შემთხვევაში - დირექტორის მოადგილე (კომისიის წევრი).

3. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს.

4. კომისიის საქმიანობის ადმინისტრირებას ახორციელებს კომისიის მდივანი, რომლის ფუნქციას ასრულებს კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);

5. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომების ჩატარებას, კომისიის წევრებს ატყობინებს სხდომების ჩატარების დროსა და ადგილს, კომისიის წევრებს უზრუნველყოფს საჭირო მასალებითა და დოკუმენტებით; კომისიის წევრებს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნის რეგისტრირებულ განცხადებებს და შესაბამის დოკუმენტაციას.

6. კომისია უფლებამოსილია, განიხილოს განაცხადი, თუ სხდომას ესწრება კომისიის არანაკლებ 5 (ხუთი) წევრი.

7. კომისიის სხდომა არის დახურული. კენჭისყრა ღიაა. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

8. კენჭისყრის შემდეგ ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9. სხდომის მსვლელობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი და ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

10. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის განხილვისას კომისიის წევრს წარმოეშობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით განსაზღვრული თვითაცილების საფუძვლები, იგი ვალდებულია ამ გარემოების შესახებ აცნობოს კომისიის წევრებს და განაცხადოს თვითაცილების თაობაზე. ამის შემდეგ პროექტი განიხილება იმ კომისიის წევრის გარეშე, ვინც განაცხადა თვითაცილების თაობაზე.

11. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული კინოცენტრის კომისია უფლებამოსილია, მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:
ა) პროექტისთვის მოთხოვნილი დაფინანსების სრულად გამოყოფა;
ბ) პროექტისთვის მოთხოვნილი დაფინანსების ნაწილობრივ გამოყოფა;
გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმა;
დ) პროექტის დაკორექტირების თაობაზე.

12. განაცხადის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას კომისია ასრულებს განაცხადის დარეგისტრირებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

13. დასაფინანსებელი პროექტებისა და მათი დაფინანსების ოდენობის თაობაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

მუხლი 4.

1.ეროვნული კინოცენტრის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება პროექტის ავტორს ეცნობება წერილობითი ფორმით გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, რის შემდეგაც ფორმდება ხელშეკრულება პროექტის ავტორთან. ხელშეკრულებით განისაზღვრება ანგარიშსწორების წესი და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წესი, ასევე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირის ვინაობა.
3.ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში პუნქტთაშორისი ცვლილებები დასაშვებია ხარჯთაღრიცხვის 10%-ის ფარგლებში და საჭიროებს მხოლოდ ეროვნული კინოცენტრის წინასწარ ინფორმირებას, გარდა შრომის ანაზღაურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლებში თანხების დამატებისა. ხარჯთაღრიცხვაში სხვა ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს ეროვნული კინოცენტრის წინასწარ წერილობითი შეთანხმების მოპოვებას შესაბამისი დასაბუთების წარდგენით. ამასთან, ახალი ხარჯების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ს და ასევე არ უნდა იწვევდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ზრდას.

4.პროექტის ავტორი ვალდებულია, ხელშეკრულების შესრულების საბოლოო ანგარიში კინოცენტრში წარმოადგინოს ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 20 (ოცი) კალენდარული დღით ადრე.

5. პროექტის ავტორის მიერ კინოცენტრში წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, პროექტის თემატური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურების შემდეგ ხელშეკრულების საგანთან და ფაქტიურად გაწეული ხარჯების ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობის დადასტურების შემდეგ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვასთან, კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტი აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს.
6.ფაქტიურად გაწეული ხარჯების ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვასთან რეზოლუციით ადასტურებს ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მენეჯერი.
7.მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებად განისაზღვრონ, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი, ეროვნული კინოცენტრის კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსი და პროექტის ავტორი.

დანართი 1.

Georgian National
Film Center
საქართველოს კინოდოკუმენტაციის
ეროვნული ცენტრი

საპროექტო განაცხადი

პროექტის სახელწოდება

პროექტის ავტორის სტატუსი:

ფიზიკური პირი ----

იურიდიული პირი ----
(სახელწოდება / ორგანიზაციულ სამართლებლივი ფორმა)

1. ინფორმაცია პროექტის ავტორის (განმცხადებლის) შესახებ სახელი: მისამართი: ტელეფონი: ელ-ფოსტა:
2. პროექტის ხელმძღვანელი სახელი: მისამართი: ტელეფონი: ელ-ფოსტა:

დანართი 1.

3. პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია • მოკლე აღწერა (იდეა, ძირითადი პრობლემატიკა) • სამიზნე ჯგუფი • პროექტის პარტნიორები (ჩამონათვალი) • თითოეული პარტნიორის როლი • პროექტის შესრულების ადგილმდებარეობა
4. პროექტის დეტალური აღწერა
დაგეგმილი ღონისძიების/პროეეტის დეტალური აღწერა (მონაწილეები, თემატიკა, სექციები და ა.შ.)
პროექტის მიზნები და ამოცანები
შესასრულებელი საქმიანობების დეტალური აღწერა
მოსალოდნელი შედეგები:
აღწერეთ რა ფაქტორები განაპირობებს პროექტის ეფექტურ და წარმატებულ განხორციელებას წინა წლის სტატისტიკა: • კინოფესტივალების შემთხვევაში: საკონკურსო სექციებში მონაწილეთა რაოდენობა, ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებული სექციების რაოდენობა, სეანსებისა და სტუმრების საერთო რაოდენობა, მაყურებლის დასწრება და ა.შ; • სხვა პროექტების შემთხვევაში: მონაწილეთა რაოდენობა (ქართველი და უცხოელი სტუმრები);

დანართი 1.

6. პროექტის განხორციელების განრიგი

#	საქმიანობა	1 თვე				2 თვე				3 თვე				4 თვე				5 თვე				6 თვე			
		1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4
1																									
2																									
3																									
4																									
5																									
6																									
7																									
8																									
9																									
10																									
11																									
12																									
13																									
14																									
15																									
16																									
17																									
18																									
19																									
20																									

დანართი 1.

7. პროექტის დეტალური ბიუჯეტი

სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	დაფინანსების სხვა წყაროები	კონოცენტრიდ მოთხოვნილი თანხა	სულ